ხუთშაბათი, 1 აპრილი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 ხუთშაბათი, 1 აპრილი 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ.	— კ.
11	,, . .	9 ,,	50 ,,
10	,, . .	8 ,,	75 ,,
9	,, . .	8 ,,	— ,,
8	,, . .	7 ,,	25 ,,
7	,, . .	6 ,,	50 ,,
6	,, . .	6 ,,	— ,,
5	,, . .	5 ,,	50 ,,
4	,, . .	4 ,,	75 ,,
3	,, . .	3 ,,	50 ,,
2	,, . .	2 ,,	75 ,,
1	,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 78 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 78

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან.

პირველ აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზ. „**ივერია**“ ჰღირს 8 **მან.** ბიბლიოთეკა სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის—4 **მან.**

---

28 მარტს გარდაიცვალა, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, ცაიშის ტაძრის დეკანოზი

მიხეილ მეუნარგია

რასაც სახლობა მისი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა.

მიცვალებულის დასაფლავება დანიშნულია დღეს, 1 აპრილს, სოფელ ცაიშს.

(1—ნ—1)

კახეთის მევენახეთა საზოგადოება „**კახეთი**“

ახადებს, რომ ამ თვის 15-დგან ღვინო ისყიდება

ბოთლი—20, 25 და 30 კაპ. და მეტად

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა; განყოფილება: მიხეილის პრ., სლივიცკის, სახლში, № 81. ღვინო ისყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ქ. ქუთაისში გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის «**კოლხიდის**» საწყობში ხსენებულ ამხანაგობის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება «**კახეთის**» ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ არის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმსგავსებული იარლიკები.

(10—ნ.—5).

ჩვენ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ჩვენს ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ რედაქციისაგან

„საქართველოს კალენდარი“

ვალ. გუნიასი, გამოცემული წ.-კ. საზოგადოების მიერ, დაკლებულ ფასად: ტფილისს გარეშე გაგზავნით 1 მან. 30 კაპ. მაგიერ 70 კაპ., ხოლო თვით რედაქციაში — მანათის ნაცვლად—50 კაპიკად.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ვ. ს.ე ლვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ-10—11 ს.

ა. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. მ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ომის ამბები

წერილები და დეპეშები.

იაპონელების ჯარის წინ-სვლა.—იაპონელების ომის გეგმა.—რუსეთის ფლოტი.—სახალინი.—წვრილი ამბები.

იაპონელების ჯარი კორეაში თანდათან წინ მიდის მდინარე იალუსაკენ. რუსეთის სამზვერაო რაზმების მოქმედების შესახებ იალუს გაღმა, გენერალ მიშჩენკოს უფროსობით, ამბები აღარ მოდის.

გენერალ მიშჩენკოს, სჩანს, ბრძანება მიუღია გენერალ კუროპატკინისაგან, უკან დაიწიოს და იალუს აქეთა ნაპირს გამობრუნდეს. ესა მტკიცდება, სხვათა შორის, გაზეთ „პარიჟის ეხოს“ დეპეშით ლიაოიანიდგან,—გენერალმა კუროპატკინმა დეპეშა გაუგზავნა გენერალ მიშჩენკოს, ერიდე მტერთან შეხვედრასო. 25 მარტს გენერალი კუროპატკინი იტყობინებოდა, რომ 22 მარტს იაპონელთა ჯარის მოწინავე რაზმმა მდინარე იალუს მარცხენა მხარე დაიჭირაო. თუმცა კორეაში ეხლა გაზაფხული დადგებოდა, როდესაც წვიმაავდარი იცის, და გზები სულ გაფუჭდებოდა, მაგრამ იაპონელები, როგორცა სჩანს, მაინც სწრაფად მიდიოდნენ წინ ვიჯუსკენ და მდინარე იალუს ნაპირი დაიჭირეს. რამდენი კაცი არის იაპონელების ჯარში, რომელიც მდინარე იალუს აწვება, ძნელი სათქმელია, ხოლო კარგა ბლომად-კი უნდა იყოს, რადგან არ ერიდება მდინარე იალუს მარცხენა ნაპირის დაჭერას, როდესაც მეორე ნაპირზე რუსების მოწინავე ჯარია დაბანაკებულიო, —ამბობს „რუს. ვედომ.“. თანამშრომელი ს. კ.,—თუმცა ეს ჯარი მცირე ნაწილია იმ დიდის ლაშქრისა, რომლის უმთავრესი ძალაც ფინ-ხუან-ჩენში არისო. რუსეთის მოწინავე ჯარს მხოლოდ ესა აქვს დავალებული, რომ მტრის ჯარი არ გადაუშვას მდინარე იალუს მარცხენა ნაპირს, დღევანდელი დეპეშა გენერალ კუროპატკინისა, 26 მარტიდგან, სწორედ ამართლებს ამ მოსაზრებას და კერძო ცნობებს, რომ იაპონელებს მდინარე იალუს მარცხენა ნაპირი დაუჭერიათ და მოპირდაპირე მტერთა მცირე რაზმებს ზედ მდინარეზედ მოსდით შეტაკება. იაპონელების მზვერავები მდინარე იალუს მარჯვენა მხარესაც-კი გადიან, თუმცა გამბედავ იაპონელთა მზვერავების პირველ ნაბიჯს ცუდი შედეგი ჰქონდა—50 იაპონელი რუსებმა გაჟლიტეს.

როგორც დეპეშებიდგან ვიცით, იაპონელებს თავისი ჯარი მდინარე იალუს მარჯვენა ნაპირსაც გადაუყვანიათ. იმ ადგილას, სადაც ეს მდინარე ზღვას ერთვის. აქ იაპონელები პატარა ქალაქ იონამპოს დასცემიან და რუსების ახალშენები აუკლიათ. რამდენი ჯარი ჰყავთ ეხლა იქ იაპონელებს—ჯერ არა სჩანს.

იაპონელთა ომის გეგმა თანდათან ცხადდება. როგორც ეტყობა, იაპონელებს განუზრახავთ თავისი ჯარი სამ ლაშქრად გაჰყონ და სამთავე ერთს დროს დაუახლოვონ რუსეთის ჯარს.

პირველ ლაშქარში, გენერალ კუროკის უფროსობით, რომლის მოწინავე რაზმებიც მდინარე იალუსთან ავიდნენ, ექვსი დივიზია უნდა იყოს, შესაფერ არტილერიითა და კავალერიით. მარშალ ნობუს, იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალს, პირველად უნდოდა თურმე გენერალ კუროკის ლაშქრის ნაწილი ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე გადაეყვანა, მაგრამ ცუდმა ავდარმა ხელი შეუშალა და ეს განზრახვა შეაცვლევინა. უამინდობის გარდა, რადგან რუსები ამაგრებდნენ მდინარე იალუს მარჯვენა ნაპირს და იქ თავისს ჯარს თანდათან აძლიერებდნენ, მარშალი ნობუც იძულებული იყო გენერალ კუროკის ლაშქარიც გაეძლიერებინა.

მეორე ლაშქარში სამი დივიზიაა. ერთი დივიზია ჩემულპოს გადასულა 2 მარტს, ხოლო ორი ჯერ ისევ გემებზე უნდა იყოს და ამ დღეებში გაემგზავრებოდა იაპონიის ნავთსადგურებიდგან კორეისაკენ. ამ ლაშქრის უფროსი გენერალი ოქუ არის, რომელმაც ჩინეთის ომში სახელი გაითქვა და თავისი ხუთ-დივიზიიანი ლაშქარი ცივ ზამთარში სეულიდგან მანჯურიაში გადაიყვანა და ნიუ-ჩუანი იერიშით აიღო 4 მარტს 1895 წელს.

მესამე ლაშქარში ორი დივიზიაა. ხოლო ეს ლაშქარიც ჯერ ისევ იაპონიაშია და აპრილის ნახევრამდე ვერ გადავა ხმელეთზე. საით გაჰგზავნიან ამ ლაშქარს — ჯერ არავინ იცის; საფიქრებელია, იქით გაიგზავნოს, სადაც უფრო საჭიროება მოითხოვს, ხოლო ამბობენ, ვითომც ეს ლაშქარი პორტ-არტურისათვისა ჰყავთ დამზადებულიო.

როგორცა სჩანს, სამივე ლაშქარი კვანტუნის ნახევარ კუნძულზე იმოქმედებს და სამივე ერთბაშად დაეცემა რუსების ჯარს, რომელიც სხვა-და-სხვა ადგილას არის გამაგრებული. ამ გეგმის განხორციელებით იაპონელებს იმედი აქვს გაიმარჯვონ პირველ ხანს მაინც. მაგრამ, რაც წინ წაიწევს იაპონიის ჯარი მანჯურიაში, მით უფრო დიდს საფრთხეში ჩავარდება. შეიძლება, გენერალი კუროპატკინი გენერალ კუროკს შეებრძოლოს მდინარე იალუს ნაპირს კი არა, არამედ მანჯურიის რკინის გზის ახლო, ხაიჩენისსა და ლიაოიანის ახლო-მახლო, მთის ქედებსა და ხეობებში. (იქვე).

გადაწყვეტილია, რომ ბალტიის ზღვის ფლოტი უთუოდ და მალე უნდა გაიგზავნოს შორეულს აღმოსავლეთში, რადგან იქაურ ფლოტს აუცილებლად დახმარება უნდა. ხოლო არ უნდა ვავიწყდებოდეს ზოგიერთა დაბრკოლებაო,—ამბობს «მოსკ. ვედ.»,—იაპონელების ფლოტის დასამარცხებლად და დასაღუპად, საჭიროა მთლად გაიგზავნოს ბალტიის ზღვის ესკადრა, ე. ი. 51 სამხედრო გემი, რომელთა შორის, ბერლინის გაზეთების ცნობებით, 6 საესკადრო ჯავშნიანი გემი, 6 ჯავშნიანი კრეისერი, 8 ჯავშნიანი ზღვის ნაპირის გემი, 7 მომცრო კრეისერი, 4 ნაღმის მმუსვრელი და 20 ნაღმიანი გემია. ერთი მოსკოვის გაზეთი ამბობს, რომ იაპონიის ფლოტის შესამუსრავად ერთი-ორად ძლიერი ფლოტი უნდა გვყავდესო. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ ჩვენის იმედის განხორციელება იმ დრომდე უნდა გადავდოთ, ვიდრე არ დასრულდება ახალი გემები პეტერბურგისა და კრონშტანდტის დოკებზე. თუმცა ბალტიის ზღვის ესკადრა რიცხვით მრავალია, მაგრამ ზოგი გემი გამოუსადეგარია, არამც თუ დიდს და შორეულ ზღვებზე გასაგზავნად, არამედ ომისათვის საერთოდ, საცა უნდა იყოს. 8 სანაპირო გემთაგან მხოლოდ სამია ახალი, 1893—1896 წ. აგებული; ხუთი გემი-კი 40 წლისაა, ძველ ზარბაზნებითა და სუსტის ჯავშნით, რომელსაც 3 დიუიმიანი ყუმბარაც კი გაჰხვრეტს. ეს მხცოვანი გემები მხოლოდ არტილერიის მიზნობას ასრულებენ, როდესაც მეზღვაურებს სროლას ასწავლიან. 6 ჯავშნიან კრეისერებში 3—ოცდა-ათის წლისაა (1873—1878 წ.), სამ მომცრო კრეისერთაგან 5 სრულიად უვარგისია (გვერდებიც-კი ნახევრად ხისა აქვს). ამ «ძველ ზანდუკების» გადაკეთებას, — როგორც იმპერატორმა ვილჰელმმა სთქვა, როდესაც ძველ გემებსა ჰგზავნიდა ინგლისს ვიქტორია დედოფლის იუბილეის დროს,—დიდი დრო და ფული დასჭირდება. ამისთანა ძველი გემები გერმანიასა, ინგლისსა და საფრანგეთში დიდი ხანია გამორიცხეს სამხედრო გემების სიიდგან და გაჰყიდეს ნაწილ-ნაწილად, როგორც მასალა, ან არა და საბარგო გემებად გადააკეთეს.

საბედნიეროდ, საქმე ისე არ გაგვიჭირდება, როგორც ზოგსა ჰგონია... საკმარისია ბალტიის ზღვის ფლოტიდგან 7—8 დიდი გემი გაიგზავნოს, რომ ადმირალმა მაკაროვმა, პორტ-არტურიდგან გაილაშქროს. საქმე ის არის მხოლოდ, რომ აქედგან გაგზავნილი ესკადრა თავის დროს მივიდეს დანიშნულებისამებრ.

კუნძულ სახალინზე ომიანობის კანონი გამოცხადდა და მაშინათვე შეუდგნენ სამხედრო რაზმების შედგენას. რაზმებში ჩარიცხეს ადგილობრივი გლეხები და მოსახლენი, რომელთაც კატორღის ვადა გაუთავდათ. ალექსანდროვის ოლქის უფროსმა განცხადება გამოსცა, რომლითაც იწვევს ადგილობრივ მცხოვრებთ, სამშობლოს დაცვაში მონაწილეობა მიიღონ და მეფეს ემსახურონ. სამი რაზმი უკვე შესდგა, მეოთხეც მალე შეგროვდება. თითო რაზმში 200 კაცია, ხალხი სიამოვნებით ეწერება და ყველას თავი კარგა უჭირავს; კატორღაში ნამყოფთ იმედი აქვთ, რომ თავგანწირულის სამსახურით სრულს პატიებას ეღირსებიან და კვალად იხილავენ სამშობლოს. სასურველია გამოირკვეს—ამბობს «ნოვ. ვრემ».,—რა უფლება მიენიჭებათ ამ უბედურთ ერთგულ სამსახურის შემდეგო.

ამერიკელი მწერალი სიდნეი ბრუკსი ამტკიცებს, რომ რუსეთ-იაპონიის ომი აუცილებელი იყო, რადგან ორთავე სახელმწიფოს გაძლიერებისათვის კორეაცა და მანჯურიაც აუცილებლად საჭიროა მომავალშიო. ეს კი უნდა ითქვას, რომ ომი ინგლისმა მიასწრაფა და ბოლოს იმასვე აზღვევინებენ დამტვრეულ ჭურჭელსაო. (ნ. ვ.).

ინკოუს რუსები თან-და-თან ამაგრებენ.

ხარბინში ყოველ დღე 2000 ჯარის კაცი მიდის რუსეთიდგან, სამს კვირაზე 28 არტილერიის ბატარეას მოელიან.

ნიუ-ჩუანიდგან 60 ზარბაზანი ხარბინს გაიგზავნა რკინის გზით.

იაპონელების ჯარი კორეაში უამინდობისა და უგზოობის გამო დიდს გაჭირვებაშია. მუხლამდე ტალახია და ჯარის კაცები მაინც წინ მიაბიჯებენ. («ნოვოსტი»).

ტფილისი

*** როგორც სომხურ დრამატიულ საზოგადოების ანგარიშიდგანა სჩანს, გასულს სეზონში საზოგადოებას გაუმართავს 35 წარმოდგენა. ამ წარმოდგენებიდგან შემოსავალი ჰქონია 16,749 მან. 36 კაპ., ხარჯი ჰქონია—25,146 მან. 50 კაპ.; ამრიგად, საზოგადოებას დეფიციტი ჰქონია 7,297 მანეთი. დეფიციტის ერთი ნაწილი უკვე დაუფარავთ წევრთაგან ნება-ყოფლობით შეწირულის ფულით.

*** თელავის ქალაქის მამასახლისის თანაშემწედ არჩეულ იქმნა ი. კ. ყულიჯანიანცი.

*** განზრახვა აქვთ იმპერიის ყველა სასულიერო სემინარიებში ცვლილება მოახდინონ. სხვათა შორის, მოუმატებენ ბუნების-მეტყველებისა და სასოფლო-სამეურნეო საგნების შესახებ გაკვეთილებს.

*** ქალაქის გამგეობამ გადასცა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას 100 მანეთი ღარიბთა დასასაჩუქრებლად ხარებობა დღეს.

*** უმაღლესს მთავრობას გადაუდვია 29,000 მან. ერევნისა და განჯის გუბერნიებსა და ყარსის ოლქში სასწავლებელთა რიცხვის მოსამატებლად.

*** განუზრახავთ საქართველოს სამხედრო გზის შეკეთება ავტომობილების სასიარულოდ. პროექტის შედგენას საჩქაროდ შეუდგებიან.

*** სომხურ ჟურნალ „მურჭის“ მარტის ნომერში დაიწყეს ბეჭდვა ცალკე დამატებად თავ. ალ. ი. სუმბათაშვილის ცნობილის დრამა-ლეგენდის «ღალატისა». თარგმანი ეკუთვნის ბ-ნ წატურიანს.

*** «მოსკოვ. ვედ.»-ში სამხედრო მკურნალი სკვორცოვი ურჩევს მთავრობას, ლაშქარს ჩვენებური ჩუსტები ჩააცვას ზაფხულობით. მკურნალი ამტკიცებს,—წაღები მძიმეა, ბებერებს უჩენს ჯარის-კაცთ ფეხებზედ და ამის გამო სიარული უჭირთო. ქალამანი არ ვარგა, რადგან, როცა გვალვაა, ხმება და უჭერს ფეხზედ, ხოლო როცა წვიმაა, ისვავს მრავლად ტალახს და ზედ იკრავს მიკრობებსაო. ჩუსტები-კი მსუბუქია და ბევრნაირად უფრო გამოსადეგია ლაშქრობაშიო.

*** ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში ორს წარმოდგენას ჰმართავს რუსის ცნობილი ნიჭიერი არტისტი ორლიონოვი, რომელიც შარშანაც ეწვია ტფილისს. პირველი წარმოდგენა დღეისთვის არის დანიშნული. წარმოადგენენ ჰენრიკ იბსენის შესანიშნავს 3 მოქმედ. დრამას «მოჩვენებანი». ამ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებს აგრეთვე რუსის ცნობილი მსახიობი ქალი ელ. ნიკ. გორევისა.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: «ქართული საეკკლესიო გალობა გურულ-იმერულს სადა კილოებზედ», გადაღებული ნოტებზედ მღვდლის რაჟდენ ხუნდაძის მიერ, გამოცემული იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისა და ეკკლესიები

სათასით. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 60 გვერდს და ჰღირს 40 კაპ.

⁂ 17 მარტს, დილის 5 საათზე, ბათუმის ციხის ეზოში სისრულეში მოუყვანიათ კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთ ცხოიძესა და მდინარაძეს ჩამოღრჩობა ჰქონდათ გადაწყვეტილი ბორჩხას მახლობლად ფოსტის გაძარცვისათვის. («კავკ.»).

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის მდივანს მელიქიშვილს ებოძა კოლეჟსკი სოვეტნიკობა.

⁂ ქალაქის გამგეობის მიერ ამორჩეულმა საგანგებო კომისიამ დაათვალიერა ავლაბარში ის მიწები, რომელიც აქამდე ქალაქს ეჭირა და ეხლა კერძო კაცები ედავებიან.

⁂ ფოთის ქალაქის თავი ნ. ი. ნიკოლაძე ტფილისში ჩამოვიდა სააღდგომოდ. სულ რამდენიმე კვირაა, რაც პეტერბურგიდან დაბრუნდა, სადაც კარგა ხანს დაჰყო ფოთის საქმეებისა გამო. გუშინ წინ ბ-მა ნიკოლაძემ დეპეშა მიიღო, კვლავ იწვევენ პეტერბურგში დაუყოვნებლივ ფოთის საქმეების გამო, და სწერენ თქვენი მოსვლა უსათუოდ საჭიროაო.

⁂ გასულ მარტში ქართველთა ეკლესიას ორი შესანიშნავი დეკანოზი დააკლდა: ქ. გორში გარდაიცვალა დეკანოზი ბესარიონ თავდგირიძე და ს. ცაიშში, სამეგრელოში, დეკანოზი მიხეილ მეუნარგია, მამა ჩვენის მწერალის იონა მეუნარგიასი. ვამბობთ შესანიშნავ, იმიტომ, რომ იშვიათია ეხლა საქართველოში იმათთანა ენამეტყველი, კილოიანი და სასოებიანი მკითხველნი სახარებისა, ანდერძისა და საზოგადოდ ყოველ საღვთო წიგნებისა, როგორნიც იყვნენ მამანი ბესარიონი და მიხეილი. დეკანოზ ბესარიონ თავდგირიძეზე გორიდან ხმა არავინ ამოიღო; დღეს ჩვენს გაზეთში სამგლოვიარო განცხადებაა დეკანოზ მიხეილ მეუნარგიას გარდაცვალების შესახებ და ამ გარემოებამ გაგვახსენა აღგვენიშნა ამ ორის ქართველთა ეკლესიის დეკანოზთა კეთილი სამსახური.

⁂ ქართველთა ამხანაგობას «გეორგიას» ბათომში, რომლის მმართველ მოთავედაც ქართველი იასე რაჭველია (მუხუზლა), გაუმართავს კახურ ღვინის ვაჭრობაც. ეტიკეტი მშვენივრად არის შედგენილი: დახატულია ზღვა და მთები, გვერდზე აზის ბეჭედი—ღუზა და გარშემო ქართულად წითელის მელნით შემობეჭდილი აქვს: «ამხანაგობა გეორგია», შუაზედ ირიბად დაბეჭდილია წითლადვე «გეორგია».

⁂ ქალაქის გამგეობამ 1,500 მანეთი დაურიგა სააღდგომო საჩუქრად ტფილისის ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთ.

⁂ რედაქციამ მიიღო სომხურ ჟურნალ «მურჭის» მესამე (მარტის) ნომერი.

⁂ 13 ივნისს პეტერბურგში დანიშნულია კრება სრულიად რუსეთის ლომბარდების გამგეთა. კრებას 37-მდე საგანი აქვს განსახილველი. ქალაქის გამგეობას ჩქარა კრება ექმნება, რომელზედაც მოილაპარაკებს, გაჰგზავნოს თუ არა ამ კრებაზედ თავის წარმომადგენლად ტფილისის საქალაქო ლომბარდის გამგე.

⁂ მკურნალთ ბ-ნთ შავერდოვსა და გედევანს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაავალა, თვალყური ადევნეთ, რომ ტფილისის ბაზარზე გასასყიდად ვინმემ არ გამოიტანოს უვარგისი სანოვაგეო.

⁂ პარასკევს, 26 მარტს, ცნობილმა ქველ მოქმედმა ი. კ. ზუბალაშვილმა ტფილისის ქალაქის მოურავს გადასცა 2,000 მანეთი ტფილისის ღარიბ მცხოვრებთათვის სააღდგომოდ დასარიგებლად.

⁂ ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ უკვე გადასცა დანიშნულებისამებრ ის ფული, რომელიც გადასდო რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა და ზოგიერთი ცვლილება შეიტანა იმ ინსტრუქციის პროექტში, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ქალაქის ლომბარდში მოსამსახურეთ. ქალაქის გამგეობა პროექტს ახლა საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

⁂ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი «მერცხალი, საყმაწვილო ნახატებიანი «კრებული». წიგნი სუფთად და კოხტად არის გამოცემული. ახლად მიღებული კრებული შემდეგის შინაარსისაა:

«მერცხალს», შ. მღვიმელისა, «დედის საყვარული პირუტყვებში» (ანასტასია წერეთლისა), „მეგობარი კატა" (მისივე), «თუთიყუში» (რუსულიდან), ვანო იარალოვისა, ,,დარო რამ დააჭკვიანა'', ეკ. გაბაშვილისა, ,,ზღ-რბი'' (გადმოკეთებული), გოჩოსი, ,,თავის ქეიფის კატუნა'' (თარგმანი) ილიკოსი, ,,გუგული'' ლექსი შ. მღვიმელისა, ,,ხავსი''—თ. რაზიკაშვილისა, ,,ბიძია'' ჩინური ზღაპარი (ფრანგულიდან) კლდიასი, ,,დავით აღმაშენებელი''—დ. კარიჭაშვილისა, ,,სამაგიეროს გადახდა', (თარგმანი)—ლ. კ—ისი, ,,გასართობი და სხვ''.

ჩვენებური ამბები

სოფ. ვანი. საბაჟო ანგარიშის შემმოწმებლისა და მეთვალყურის სასიკვდილოდ დაჭრა.

მარტის 19-ს ქუთაისის მაზრის, ვანის საზოგადოების, ს. სალხინოში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: ამ სოფელში, მდ. სულორის ხიდის თავში, ჰქონდა საწვრილმანო დუქანი აქაურ მცხოვრებს მოსიკო ლორთქიფანიძეს. 19 მარტს, ნაშუადღევის სამ საათზედ, ეწვივნენ დუქანშა საბაჟოს მოხელეები, ერთი მეთვალყურე და მეორე უფროსი, ანგარიშის შემმოწმებელი, გვარად გოროდენსკი. სავაჭრო მოწმობის გასინჯვის შემდეგ, შეუდგნენ დუქნის გაჩხრეკას; დუქანში ვერაფერი აღმოაჩინეს, გავიდნენ უკანა კარებიდგან ეზოში და იქ სიმინდის ჩალაში ნახეს შინაური არაყი და ერთი კეცა თუთუნი. ლორთქიფანიძემ პირველად უარი განაცხადა, ახვენი, ვითომ ვიღაცამ მტრობით შეუნახავს ჩალაში არაყი და თუთუნიო, მაგრამ შემდეგ გამოტყდა, აღიარა, რომ ჩემთვის მქონდა შენახული და არა გასასყიდათაო. როდესაც შემმოწმებელი შეუდგა ოქმის შედგენას, იმან სთხოვა: საქმეს ნუ შეაყენებთ და სამ თუმანს მოგართმევთო, მაგრამ მოხელე არ დასთანხმდა. ამასობაში ლორთქიფანიძეს მოეძებნა იქვე რევოლვერი, მოხელეების შეუნიშნავად და რამოდენჯერმე ესროლა ხან ერთს და ხან მეორეს. მეთვალყურემ იმდენი ახერხა, რომ ყოველთვის აცილდა და მსუბუქად დაიჭრა, ანგარიშის შემმოწმებელი-კი მძიმედ დაიჭრა გულში. დაჭრილნი სადამოსვე ჩაიყვანეს დაბა სამტრედიის ეტლით. ამ დროს იქ ბრძანდებოდა ქუთაისის მაზრის უფროსი შეწირულების შესაკრებად „წითელის ჯვრის" სასარგებლოდ. მაზრის უფროსმა მაშინვე გამოჰგზავნა მაზრის სამმართველოს მოხელე ს. ჩიქვილაძე დარაჯებით, რომელმაც დააპატიმრა ლორთქიფანიძე და წარუდგინა მაზრის უფროსს. ამბობენ, ვითომც ანგარიშის შემმოწმებელს გოროდენსკის ლორთქიფანიძისათვის წვერში უნდა მოეკიდოს ხელი და მოეწიოს.

წელს მაინც აქეთ, მთლად რიონ გაღმის კუთხეში, დიდი შეტაკება აქვთ საბაჟო მოხელეებს ადგილობრივ მკვიდრთან. ამას წინად ვაცნობე „ივერია"-ს ტობანიერის საზოგადოებაში მიმავალი მოხელეები როგორ წააწყდნენ თავს ჩალვადარს, რომელთაც მიჰქონდა ჩავათ არაყი გასასყიდად, შემდეგ კიდევ სოფელში ვიღაც სანიკიძეს, რომელსაც შეადლასას შემოუდგა ქვაბი და ჰხდიდა არაყს. იმ დღეს კიდევ აბაშის საზოგადოებაში წარდგომოდნენ თავს საბაჟოს მოხელეები რამოდენსამე გლეხს ტყეში არაყის ხდაზედ; მოსვლოდათ ბრძოლა გლეხებს და მოხელეებს, რომლის დროსაც მოხელეს დაეჭრა ხმლით ერთი მოწინააღმდეგეთაგანი. საკვირველია, ამდენის დავიდარაბის შემდეგ ზოგიერთები მაინც არ დაშინდნენ და მოურიდებლად შეადლასას ეწევიან თავის ხელობას!

ვლადო ბზხანელი.

ს. გამოჩინებული. გამოჩინებულის ეკლესია ძველად აშენებიათ გამოჩინებულის მთაზედ (აბაშის საზოგადოება, ქუთ. მაზ.) და შესანიშნავია ძველის და ძვირფასის ხატებით. წითელ პარასკევს, დილით ადრე, მოსულა მნათე ეკლესიისა და ეკლესიის კარი გატეხილი უნახავს, ფიცხლავ უცნობებია მახლობლად მცხოვრებ მეგაუთნისათვის, რომელმაც სოფლის ზოგიერთ მცხოვრებთ გააგებინა. მოვიდნენ ამ ეკლესიის მღვდლებიც და შემდეგ მივედით სოფლელებიც. ყველას ცრემლები მოსდიოდა თვალთაგან და სწყევლიდნენ უსინდისო ავაზაკებს, რომლებსაც კარი ეკლესიისა ჩამოეხეთქათ და პოქლომაც გაეტეხათ. კარი ისევ მიეხურათ შიგნიდგან და წასულიყვნენ. კეთილმოწესემ, მამა კონსტანტინე შანიძემ, შეაღო კარები და მას ყველანი შევყევით ეკლესიაში. ავაზაკებს ხატები და ყოველივე სიწმიდე ეკლესიისა შეეგინებინათ და ერთმანეთში აერიათ. ამ საშინელმა სურათმა მოგვაგონა ჩვენის ისტორიის შავი ფურცლები და შაჰ-აბაზის მძვინვარება, მიმართული წმიდა ეკლესიებისადმი, როცა მისი გამძვინვარებული ჯარი წმიდა ხატებს ფეხით სთელავდა და ჰქრიდა მიწაზედ. როგორც ეტყობათ, ბოროტ-მოქმედნი მოსულან არა ნივთების მოსატაცებლად, არამედ უმეტესად ეკლესიის სიწმიდის შესაგინებლად.

რამდენადაც შევსძლებ, აქვე აღვწერ იმ საძაგელ მოქმედების სურათს, რომელიც პირადად ვნახე: ავაზაკებს ხატები იატაკზედ დაეყარათ, ყველა პირ-დაღმა, დაემტვრიათ ტრაპეზის ოთხ-ფეხსიანი ჯვარი, ამოეგდოთ სანაწილე ყუთიდგან წმიდა ნაწილები, დაესხათ წმიდა სახარება, გადმოეყარათ ბარძიმ-ფეშხუმი, იატაკზედ დაეყარათ ყველა საეკლესიო წიგნები, ნახევრად დახეული, მღვდლის სამოსელიც ძირს დაეგდოთ, ქორწინების დროს სახმარებელი გვირგვინები ფეხით დაეჭყლიტათ. გარდა ამისა, ზოგი ხატები უკუღმა დაესვენებინათ. ეს სურათი, რასაკვირველია, თავის-თავად გულით ააცრემლებდა ყველას, ვისაც კი სინდისი და სარწმუნოება სწამს!.. ხელუხლებელი არის მხოლოდ ტრაპეზის ერთი ძვირფასი თვლებიანი ჯვარი და ზოგიერთი დიდი ხატება. ნივთების გადათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ავაზაკებისაგან წაღებულია 25-მდე ძვირფასი ძველთა-ძველი თვლები და ერთი უძვირფასესი ოქროს ღვთის-მშობლის ხატი, როგორც ზედ ეწერა, გურიის მთავრის მამია გურიელისგან შემოწირული. ეს ოქროს ხატი იყო გაწყობილი ძვირფასის თვლებით და ღირსებული იყო რამოდენიმე ათას მანეთად. ეს ხატი ამ ეკლესიაში უძვირფასესი ხატი იყო, იწოდებოდა «ოქროს ღვთის-მშობლად» და დიდ პატივს სცემდა ხალხი. ამ ხატის დაკარგვით დიდი დასაკლისი დააკლდა ამ ძველ ეკლესიას. ფული პატარა ყულაბით ხელუხლებელი აღმოჩნდა. ავაზაკთა გზა-კვალი ჯერ არავინ იცის. ამ სამწუხარო საქმის გამო აქვე მოვიდა ადგილობრივი მამასახლისი «სტრაჟნიკებით» «ურიადნიკით» და ინახულეს საძაგელი ბოროტ-მოქმედება უსინდისო ავაზაკთა.

მამა კეთილმოწესემ კონსტანტინე შანიძემ ეს სამწუხარო ამბავი ფიცხლავ დეპეშით აცნობა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს. სამტრედიის ბოქაულსაც დეპეშით შეატყობინა ჯეროვან განკარგულებას მოსახდენად.

აბაშის საზოგადოებას ეს-და აკლდა და ესეც არ მოაკლეს უსინდისო ავაზაკებმა.

მელქისედექ მიდოსვაკი.

დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მარტი.

ოდესა. 27 მარტს ვოლოჩისკიდან რკინის გზის მატარებლით მოვიდნენ «ვარიაგ»-ისა და «კორეეც»-ის აფიცრები და მეზღვაურნი, «კორეეც»-ის უფროსის ბელიაევის მეთაურობით. ამათთან ერთად მოვიდნენ სეულში მყოფ რაზმის უფროსი ლეიტენანტი კლიმოვი და პორტ-არტურის ორის აფიცრის ცოლები. სადგურზე მეზღვაურთ მიესალმნენ: ჯარის უფროსი, ქალაქის უფროსი და ქალაქის მოურავი. მოურავმა ვერცხლის თეფშით პურ მარილი მიართვა მეზღვაურთ. ბაირაღებით მორთულ ქუჩებში აუარებელი ხალხი იდგა და ჯარი იყო ჩამწკრივებული. მეზღვაურთ ეტლით გაიარეს ამ ქუჩაზე და მივიდნენ ქალაქის მიერ დამზადებულს სადგომში — «ლონდონის სასტუმროში», სადაც სამხედრო უწყება და ქალაქი საუზმეს უმართავს. დღეს, ნაშუადღევის სამს საათზე მეზღვაურნი სევასტოპოლს წავლენ.

პარიჟი. გამოქვეყნებულია შინაარსი საფრანგეთ ინგლისის ახალ შეთანხმებისა. საფრანგეთი ხელს არ შეუშლის ინგლისის მოქმედებას ეგვიპტეში. თავის მხრივ ინგლისი ნებას აძლევს საფრანგეთს დაიცვას მშვიდობიანობა მაროკოში. ინგლისი უერთდება 1888 წელს დადებულ პირობას სუეცის არხის ნეიტრალიზაციის შესახებ. ორივე სახელმწიფო პირობასა სდებს, რომ უზრუნველ ჰყოფს მაროკოს ტერიტორიის ხელუხლებლობასა და დაიცავენ არსებულ status quo-ს. შეთანხმების რამდენიმე დადგენილება შეეხება ნიუფაუნდლენდს. სიამის შესახებ დეკლარაციაში გამეორებულია 1896 წლის შეთანხმების საფუძველნი. ორსავე სახელმწიფოს სრული თავისუფლება ენიჭება დასავლეთ სიამში მოქმედებისა, ამასთან პირობასა სდებენ, რომ უზრუნველ ჰყოფენ სიამის სახელმწიფოს ხელუხლებლობას და დაიცავენ არსებულ status quo-ს.

ლონდონი. («რეიტ. სააგ.») საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას საახალშენო საკითხთა შესახებ ხელი მოაწერეს.

პარიჟი. 9 საათსა და 45 წუთზე გარდაიცვალა დედოფალი იზაბელლა.

სტამბოლი. 26 მარტს ხელი მოაწერეს ოსმალთ ბულგარიის შეთანხმებას. ბულგარია პირობასა სდებს, რომ ხელს შეუშლის ოსმალეთის წინააღმდეგ მომქმედ სარევოლუციო კომიტეტებისა და შეიარაღებულ რაზმების დაარსებასა და მოქმედებას, აგრეთვე პირობას სდებს, რომ სდევნის და დასჯის ბულგარიის იმ ქვეშევრდომთ, რომელნიც ბოლგარიის მეზობლად მდებარე პროვინციებში სარევოლუციო მოქმედებას დაიწყებენ. ამასთან ბულგარია ხელს შეუშლის მაკედონიის სამს პროვინციაში ასაფეთქებელ ნივთიერებათა შეტანას. შემდეგ მოყვანილია რამდენიმე დადგენილება, რომელიც შეიცავს პორტას ვალდებულებას; აქვე მოხსენებულია საგანი ამნისტიის შესახებ. დანარჩენ სადავო საკითხების გადაწყვეტა მიენდობა შეერთებულ კომისიას.

28 მარტი

პეტერბურგი. მტრის წინააღმდეგ მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის ებოძათ კონტრ-ადმირალობა: ჯავშნიან გემის „ცესარევიჩ"-ის უფროსს გრიგოროვიჩს და კვანტუნის ეკიპაჟის უფროსს მატუსევიჩს. გრიგოროვიჩი დაინიშნა პორტ-ატურის უფროსად, მეორე ხარისხის კაპიტანი ვასილიევი დაინიშნა ჯავშნიან გემის „ცესარევიჩ"-ის უფროსად.

რომი. „ტრიბუნა"-ში დაბეჭდილია ჰონგკონგიდან მიღებული კორესპონდენცია. აწერილია, როგორის ძმურის სიყვარულით მიიღეს დაჭრილი რუსები იტალიის გემის «ელბა»-ს აფიცრებმა და მეზღვაურებმა. კორესპონდენტი ამბობს, რომ «ელბა»-მ მიიღო 180 დაჭრილზე მეტი; აფიცრები და მეზღვაურნი, აგრეთვე სეულში მყოფი წარმომადგენელი იტალიისა უვლიდნენ და კარგად ეპყრობდნენ დაჭრილებსაო. კორესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ იტალიელნი ყველაფერს იკლებდნენ, რომ დაჭრილ რუსებისთვის უკეთ მოევლოთო. დასასრულ აღწერს გამოთხოვებას.

ოდესა. 27 მარტს, პირველ საათზე, «ლონდონის სასტუმროში» სამხედრო უწყებამა და ქალაქმა მეზღვაურთა პატივსაცემლად გამართა საუზმე. დაესწრნენ: ჯარის უფროსი, ქალაქის უფროსი, ქალაქის მოურავი, ნავთსადგურის უფროსი, ჯარის სხვა-და-სხვა ნაწილის უფროსნი და სხვანი. ჯარის უფროსმა წარმოსთქვა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო, რასაც ყველანი «ურა»-ს ძახილით მიეგებნენ. შემდეგ უსურვეს სახელი და დიდება რუსეთის ფლოტს. 3 საათზე მეზღვაურთ მორთულ ქუჩაზე გაიარეს და ბაირაღებით გამშვენებულს ნავთსადგურს შევიდნენ. გზაზე ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. გასაცილებლად მოვიდნენ აგრეთვე ჯარის უფროსი, ქალაქის უფროსი და ისინი, ვინც საუზმეს დაესწრნენ. 4 საათზე გემი «ველიკი კნიაზ ალექსეი» სევასტოპოლს წავიდა. ხალხმა «ურა»-ს ძახილით გააცილა.

ტოკიო. რუსებმა პორტ-არტურის ჩრდილოეთით ოთხი მილის მანძილზე თხრილი გაიყვანეს. თხრილში მიხვლეტავი მავთულებიანი ღობეა გავლებული, ზევიდგან მიწა აქვს წაყრილი ისე, რომ თხრილი არა სჩანს. ხმა დადის, იალუს მახლობლად, ძიულიანჩენში ბრძოლა მოხდაო.

ნიუჩუანი. ამ ქალაქის მეციხოვნედ 5,000 კაცია, აქვთ სამი ბატარეია. ორის დღის შემდეგ მოვა 10,000 კაცი. ამას გარდა, მზად არის 15,000 კაცი, ამათ საჭიროების უმალვე შეუძლიანთ ნიუჩუანში მოსვლა. მიღებულია ყველა საშუალება, რაც-კი თავის დასაცავად არის საჭირო.

სეული. გენერალ კუროკის ჯარი პენიანშია. ამ ჯარში 70 ათასი კაცია; აქედან ბრძოლისთვის გამოსადეგია მხოლოდ 50 ათასი კაცი. მთავარი ავანპოსტები ანჯუსთანაა. მახლობლადვეა ცხენოსან ჯარის ავანპოსტებიც ფუზანი ძლიერ არის გამაგრებული. იაპონელნი ადვილად ცივდებიან. უფრო იტანჯებიან ყელის ავადმყოფობისაგან. იაპონელებს დიდი ობოზი აქვთ. თითო დივიზიიდან 6,000 კაცია ამ ობოზისთვის გამცდარი. იალუს შესართავთან მართლა გაჩნდნენ იაპონიის სამხედრო გემები. ნიუჩუანიდან იუწყებიან, ვშიშობთ, იაპონელნი აღდგომა დღეს არ დაგვეცნენო.

29 მარტი

სევასტოპოლი. გემით «ველიკი კნიაზ ალექსეი»-თ აქ მოვიდნენ კაპიტნები ბელიაევი და ზასუხინი, ლეიტენანტი ბერლინგი, მიჩმანები შილლინგი, ბოისმანი, ბირილევი, ბულტეროვი და ლობოდა, ექიმი მერკულოვი, მოხელენი ბარსუკოვი და დენისოვი და ინჟენერ-მექანიკოსი ფრანკი. დანარჩენნი ადესას დარჩნენ და შემდეგ მოვლენ აქ ნაწილ-ნაწილ.

სევასტოპოლი. საუცხო ამინდია. კაზარსკის ძეგლთან დილის 9 საათზე შეიკრიბნენ «ვარიაგ»-ის მეზღვაურნი. იქვე იყვნენ ყველა ეკიპაჟის წარმომადგენელნი და ადიუდანტები. შეკრებილ მეზღვაურთ აუხსნეს მნიშვნელობა «მერკური»-ის გმირობისა, ამასთან აღნიშნეს მსგავსება «ვარიაგ»-ისა და «მერკურ»-ის მოქმედებისა და აგრეთვე ის, რომ «მერკურ»-ის ყველა მეზღვაურმა მიიღო გიორგის ჯვარი. შემდეგ მოვიდა ადმირალი, მიულოცა შეკრებილთ და წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა.

სევასტოპოლი, 28 მარტი. გუშინ სადამოთი ხმა გავარდა, რომ ჩემულპოს გმირი-აფიცრები დღეს ადესიდან გემით მოვლენო. ჯარი და მეზღვაურნი შეიკრიბნენ ძვირფას სტუმრების დასახვედრად. «ველიკი კნიაზ ალექსეი»-ს ზღვაში მიეგებნენ ნაღმიანი გემები. შავის ზღვის ფლოტის მხრივ ჯავშნიანმა გემმა «როსტისლავმა» ნიშანი მისცა და «სალამი მამაცთ»-ო. უთხრა. გემზე ავიდა სკრიდლოვი. უფროსნი და გმირები გამწკრივდნენ. უმრავლესობას სამხედრო ტანისამოსი არ ეცვა. ადმირალმა მიულოცა მშვიდობით მოსვლა ყველას და გადაჰკოცნა. შემდეგ ყველანი სათითაოდ შეაქო. მერე ჩამოვიდნენ გემიდან. ქალაქის მოურავმა პურ-მარილი მიართვა და მიულოცა სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება. გმირები სახედრო მუსიკის ხმაზე ნახიმოვის მოედანზე გადავიდნენ, ძეგლთან, სადაც სამღვდელოება იდგა. დეკანოზმა დროის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა. მერე გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც სკრიდლოვმა ჩემულპოს გმირებს სიტყვით მიჰმართა, დაურიგა უმაღლესად ნაბოძები გრამოტები და ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ამ სადღეგრძელოს აღტაცებით მიეგებნენ. მუსიკა საერო ჰიმნს უკრავდა. დასრულდა ჰიმნი და ადმირალმა წარმოსთქვა «ჩემულპოს მამაცთა» სადღეგრძელო. შემდეგ მუსიკის ხმასა და ურას ძახილზე გმირები წავიდნენ მომზადებულ სადგომში,

უფა. 28 მარტს აქ გამოვლილ ჯარს მცხოვრებთ მისცეს პასკები, ძეხვები, ლუდი და თამბაქო.

სეული. («რეიტ. სააგ.»). იაპონიის ელჩმა აცნობა კორეის სამინისტროს, რომ რუსებმა უკან დაიწიეს, კორეას გაეცალნენ და მდინარე იალუს მეორე მხარეს გადავიდნენო. ელჩმა სთხოვა კორეის მთავრობას, უბრძანოს მოხელეთ, გაუადვილონ იაპონელებს მუშების დაქირავება სეულ-ფუზანის რკინის გზის გაყვანის დასაჩქარებლად.

პეტერბურგი. გზათა მინისტრს ებოძა ორდენი თეთრის არწივისა უმაღლესის რესკრიპტითურთ.—ებოძათ ორდენები უმაღლესის გრამოტებით: ალექსანდრე ნეველისა ბრილიანტებით—საპატიო მზრუნველს ნიკოლოოზ ბროკს; ალექსანდრე ნეველისა—საპატიო მზრუნველს ალექსანდრე როზენს, ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრს დიმიტრი განს, საპატიო მზრუნველთ იოსებ კვიცინსკის, გრაფ ვასილ კაპნისტს და ეგერმეისტერს ივანე ბალაშევს.

ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსის თანაშემწეს, ინფანტერიის გენერალს პუზირევსკის, უმაღლესად ებრძანა სახელმწიფო საბჭოს წევრად ყოფნა; ფინანსთა სამინისტროს გამგეს სენატორს კოკოვცევს ებრძანა ფინანსთა მინისტრად ყოფნა. მის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მთავარ გამგეს ტანეევს სტატს-სეკრეტრობა.

ებოძათ: დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა—საპატიო მზრუნველს არგამაკოვს; ტაინი სოვეტნიკობა: ბელგრადში მყოფ ელჩს გუბასტოვს, მოგილიოვის გუბერნატორს კლინგენბერგს, სახელმწიფო ბანკის გამგეს ტიმაშევს, მიწად მოქმედების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარეს სტებუტს, გარეშე საქმეთა სამინისტროს საბჭოს მუდმივ წევრს ვაკსელს, სახაზინო დეპარტამენტის დირექტორს შიპოვს; დეისტ. სტატს. სოვეტნიკობა—ესტლიანდიის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბელგარდის და ხარკოვისას—გერბელს.—უმაღლესად ებოძათ ორდენები: ვლადიმირის პირველ ხარისხისა—საპატიო მზრუნველს ბარონ გერშაუს; ალექსანდრე ნეველისა—საპატიო მზრუნველს გრაფ დ. კაპნისტს, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს

დურნოვოსა და საადმირალოების საბჭოს წევრს დიკს; თეთრის არწივისა—საპატიო მზრუნველს პერფილიევს, გარეშე საქმეთა სამინისტროს უფროს მოთათბირეს არგიროპულოს, ფინანსთა მინისტრის ამხანაგთ რომანოვსა და ტიმირიაზევს, ტაინი სოვეტნიკებს პისარევსა და ტიმევს, სახელმწიფო კონტროლის საბჭოს წევრს ბელიაგოვს, გენერალ-ლეიტენანტებს გორიაინოვს და სლივას, დონის ყაზახთა ჯარის ატამანს მაქსიმოვიჩს, შავის ზღვის ფლოტის მთავარ უფროს სკრიდლოვს.—ებოძათ კავალერიის გენერლობა: ხრეშჩატიცკისა, ფონვალსა და არაპოვს; ინფანტერიის გენერლობა—პანტელეევს და ბოგოლიუბოვს.

ჰერცოგს მიხეილ გიორგის ძეს მეკლენბურგ-სტრელიცკის ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ორდენი ანდრია პირველ წოდებულისა.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა პორტას წარუდგინეს მემორანდუმი და მოსთხოვეს, 7 აპრილამდე ოტომანის ბანკში შეიტანოს 50,000 ლირი უცხოელ საჟანდარმო კომისიის დასაარსებლად საჭირო ხარჯისთვის და თვიურის ჯამაგირებისთვის.

სტამბოლი. მაკედონიის ჟანდარმერიის უცხოელი აფიცრები 29 მარტს სალონიკს წავლენ.

ლავალეტტა. მოვიდა გერმანიის იმპერატორი.

სტამბოლი. კომისია, რომელსაც სულთანის მიერ მინდობილი აქვს არაბეთს წასვლა და მლოცველებზე თავდასხმისა და ამოხოცვის საქმის გამოძიება, მივიდა იამბოში და იქიდან გეჯასის ვილაეტისაკენ წავა.

ნიურენბერგი. სასკოლო ჰიგიენის კონგრესი დაიხურა.

პარიჟი. გუშინ, აღდგომის გამო რუსების ახალშენის წევრები წირვის შემდეგ მივიდნენ ელჩ ნელიდოვთან ხელმწიფე იმპერატორისადმი უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოსაცხადებლად და მისალოცავად. ვახშამზე სადღეგრძელო წარმოსთქვეს ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე დედოფლისა და უსურვეს გამარჯვება რუსეთის ჯარს.

მალტა. იმპერატორმა ვილჰელმმა მიიღო გუბერნატორი, ინგლისის ესკადრის უფროსი და გერმანიის კონსული და ისადილა გუბერნატორის სასახლეში.

30 მარტი

სუდა. გემი «მეტეორ»-ი დღეს დილით მოვიდა აქ «ვარიაგ»-ის და «კორეეც»-ის მეზღვაურებით. ესენი ჯანმრთელად არიან. რეტიმოდან მოვიდა პოლკოვნიკი ურბანოვიჩი სამის აფიცრით, რომელნიც უნდა მიესალმნენ ემულპოს გმირებს. კანეის ქალაქის თავმა თაიგული და ტკბილი ქადები მიართვა. ცხრის ნახევარზე მეზღვაურები გემ «ყირიმ»-ით ოდესას წავიდნენ; ნავთ-სადგურში მდგომ გემების მეზღვაურებმა «ური»-ს ძახილით გააცილეს გმირები; ყველ გემი სადღესასწაულოდ იყო მორთული.

ჩიფუ. («რეიტ. სგ.»). ჩინეთის ერთი გემი ეხლახან დაბრუნდა ნიუჩუანიდან; გემის უფროსმა სთქვა, ნიშნებით გამოვიწვიე ლოცმანი, მაგრამ ჩემს ნიშნებს ნიუჩუანში არავითარი ყურადღება არ მიაქციესო. ამგვარივე ყოფაში იყო ინგლისის ორი გემი, [illegible] ისინი შეუშვეს ნავთ-სადგურში. ამნაირად ნიუჩუანი დაიხურა უცხოელთა ვაჭრობისათვის.

პეტერბურგი. [illegible] 29 მარტს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ გამგეობის აღმასრულებელი კომისია უმორჩილესად სთხოვს იმ ფირმებს, რომელთაც ომის დაწყების გამო ციმბირისა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზებზე შეჩერებული საქონლის გაყიდვა სურთ, აცნობონ აღმასრულებელ კომისიას იმ საქონლის შესახებ, რომელიც წითელის ჯვრის საჭიროებისათვის გამოდგება. (პეტერბურგი, ინჟენერნაია, 9).

პარიჟი. როგორც ხმა დადის, პოლკოვნიკმა მარშანმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა, რადგან სამხედრო მინისტრმა ნება არ დართო შორეულ აღმოსავლეთში წასულიყო, სადაც პოლკოვნიკს სურდა რუსეთის სამხედრო მოქმედებისათვის თვალ-ყური ედევნა.

ლიონი. მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა რადიკალ-სოციალისტების კავშირის ნადიმზე სიტყვა წარმოსთქვა შინაურ პოლიტიკის შესახებ. კომბმა სხვათა შორის, შეეხო საფრანგეთის დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოებთან და სთქვა: «საფრანგეთისათვის არავის არ მიუყენებია შეურაცხყოფა და არ უფიქრნია, რომ საფრანგეთი თავისს სიტყვას რუსეთის მიმართ არ შეასრულებს, ან სხვა სახელმწიფოებთან მეგობრულ დამოკიდებულებას უარს ჰყოფსო. არავინ არ ეჭვობს, რომ საფრანგეთი იცავს ამ კავშირსა და მეგობრულს დამოკიდებულებას მხოლოდ მშვიდობიანობის გულისათვის.

პეტერბურგი. «კანონთა კრებულში» გამოცხადებულია, რომ დროებით გადიდებულ იქმნება მისის უდიდებულესობის კაბინეტის მიწების მზომელთა რაზმი. გამოქვეყნებულია აგრეთვე, რომ იმ ადგილებში, სადაც ციმბირის რკინის გზა მიდის, სამხედრო წესებია შემოღებულიო.

ბაქო. ამ დღეებში სამსახურიდან დაითხოვეს ფარსისტანის გენერალ-გუბერნატორი ალაი-დოულე, რომელიც ლორდ კერზონის მოგზაურობის დროს არ ეწვია მას და არ მიესალმა, პირ იქით, თვითონ ელოდა კერზონის მოსვლას. შაჰის მთავრობამ აცნობა ინგლისის მთავრობას ალაი-დოულეს დათხოვნის შესახებ, ხოლო ლანსდოუნმა ეს ამბავი პარლამენტს შეატყობინა. ალაი-დოულე გამოცდილი ადმინისტრატორია, ამასთან განათლებული და სპარსეთისათვის ძლიერ საჭირო კაცია.

სპარსეთში ადგილობრივ ვაჭართაგან შესდგა ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს ჩაის მოშენება. 300 ათასი ძირი კიდევაც დარგეს.

პარიჟი. დღეს საღამოს გამოაქვეყნეს საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებისა და დეკლარაციის ტექსტი. მე-8 მუხლით ნება ეძლევათ, შეეთანხმონ ესპანიის მთავრობას განსაკუთრებულ ინტერესების თაობაზე, რომელიც ესპანიას თავისის გეოგრაფიულის მდებარეობითა და ტერიტორიით მაროკოს ხმელთა-შუა ზღვის ნაპირებზე აქვს. ეს შეთანხმება უნდა ეცნობოს ინგლისის მთავრობას.

სტამბოლი. მაკედონიის ჟანდარმერიის უცხოელი აფიცრები კვირას წავლენ და ორშაბათს მივლენ სალონიკს. ჯირჯისის წასვლა ჯერ კიდევ საეჭვოა, რადგან ის, როგორც ოსმალეთის აფიცერი, სულთანის ბრძანებას ელოდება.

ბარცელონა. როდესაც მეფე ალფონსი სატრიუმფო კამარის ქვეშ მიდიოდა, ხალხში სტვენა გაისმა. პოლიციამ 13 კაცი დაატუსაღა.

პეტერბურგი. 28 მარტს, აღდგომა ღამეს, საზამთრო სასახლეში წირვას მისი უდიდებულესობანი და უმაღლესობნი დაესწრნენ.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრიის სამხედრო აგენტები, აგრეთვე სამოქალაქო აგენტების უცხოელი თანაშემწენიც, შვერინს წავიდნენ.

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ დიდის ჰერცოგის მეკლენბურ-შვერინგისა და კუმბერლანდიის პრინცესა ალექსანდრას ქორწინება 24 აპრილს მოხდება.

ოკაგანდია, 27 მარტი. ლეიტვეინმა დიურის მთავარი რაზმი შეუერთა ესტორფის რაზმსა და ონგანჟირთან იერიში მიიტანა გერეროს ჯარზე, რომელიც 3,000 კაცისაგან შესდგებოდა. რვა საათის ბრძოლის შემდეგ, გაარღვია მტრის პოზიცია. მტერმა უკან დაიწია. მოკლულია 2 აფიცერი, 2 ცხენოსანი ჯარის კაცი. დაიჭრნენ: მძიმედ ერთი აფიცერი და 5 ცხენოსანი ჯარის კაცი, მსუბუქად—ხუთი ცხენოსანი ჯარის კაცი. მტერი მცირედად დაზარალდა.

პარიჟი. ერთ კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს, დელკასეს უთქვამს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ: მოლაპარაკების დროს სახელმძღვანელოდ მიჩნეული იყო ის იდეია, რომ ყოველ საგნის გადაწყვეტის დროს, სადაც ერთის სახელმწიფოს ინტერესი სჭარბობს მეორისას, მეორე სახელმწიფომ უნდა დაუთმოსო. საფრანგეთს შეუძლია დარწმუნებული იყოს, არც იტალია და არც ესპანია წინააღმდეგობას არ გაუწევს იმას მაროკოს თაობაზე, ხოლო დანარჩენ სახელმწიფოთ თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადებით საკმაოდ უზრუნველ ყოფილად მიაჩნიათ თავი. საფრანგეთის პოლიტიკა მაროკოს შესახებ შეიდობიანის ხასიათისა იქმნება. საფრანგეთი დაეხმარება მაროკოს იმპერატორს შემოსავლის ახალ წყაროების გამოძებნაში, აგრეთვე მხედრობის ახალ წესზე მოწყობის საქმეში; უზრუნველ ჰყოფს იმ რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის საქმეს, რომელიც ორან-ტუნისის რკინის გზის ლიანდაგის გაგრძელება იქნება. ყველა ამის განსახორციელებლად, უსათუოდ დიდი დროა საჭირო და სულელობა იქნება რაიმე სხვა სისტემით ხელმძღვანელობა, გარდა მშვიდობიან პოლიტიკისაო. როგორც დელკასეს განცხადების კილოდანა სჩანდა, პეტერბურგში საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას კმაყოფილებით შეჰხვედრიან.

სოფია. (ოპოზიციის ცნობებით). მტკიცდება ცნობა ოსმალეთ-ბულგარიის შეთანხმებაზე ხელის მოწერის შესახებ.

სოფია. («კორესპ. ბიურო»). 27 მარტს სუსტად იძრა მიწა. მცხოვრებთათვის მიწის ძვრას დიდი ზარალი არ მიუყენებია.

ბელგრადი. მოვიდა ავსტრიის ელჩი.

ლავალეტტა. 28 მარტს გერმანიის იმპერატორმა «ჰოჰენცოლერნ»-ზე მიიღო ინგლისის ესკადრის ადმირალები და უფროსები. საუზმის შემდეგ იმპერატორმა დაათვალიერა სენ-ჯონის ეკკლესია და შემდეგ წავიდა გუბერნატორის აგარაკისაკენ. საღამოს იმპერატორი ლავალეტში დაბრუნდა. «ჰოჰენცოლერნ»-ზე გამართული იყო სადილი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ გუბერნატორი, ინგლისელი ადმირალები, გემების უფროსები, მეციხოვნე ჯარის აფიცრები და მოხელენი. სადილზე იმპერატორმა მიირთვა მეფე ედუარდის სადღეგრძელო. 29 მარტს, დილას, იმპერატორმა დაათვალიერა ინგლისის ესკადრის გემები და «ჰოჰენცოლერნ»-ზე მიიღო არქიეპისკოპოსი მალტისა, ხოლო შემდეგ გაისეირნა.

31 მარტი.

პორტ-არტური, 28 მარტს (საკუთ. კორესპ.). თქეშმა გააფუჭა ტელეგრაფი. ახლა გასწორებულია და მუშაობს.—ღამე 27 მარტს მობრძანდა დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის-ძე. აღდგომა ღამეს ყველანი მოელოდნენ იაპონელების მიერ იერიშის მიტანას და მიტომ ღონისძიებანი იქმნა მიღებული. ფლოტის უფროსმა, ვიცე-ადმირალმა მაკაროვმა, აღდგომა ღამე სადარაჯო ნავში გაატარა. სააღდგომო ღვთის-მსახურება სამხედრო ეკკლესიაში იქმნა შესრულებული. ტაძარი სავსე იყო მლოცველებით. დაესწრნენ გენერლები: სტესელი, სმირნოვი, ნიკიტინი, კონდრატენკო, კოსტენკო. მხოლოდ ფანჯრებზედ ჩამოფარებული ფარდები და წყვდიადი, რომელშიაც იყო გახვეული ეკკლესია და ქალაქი, აგონებდა ხალხს, რომ შესაძლო იყო მტრის თავდასხმა. აღდგომამ მშვიდობიანად გაიარა. ქალაქი სადღესასწაულოდ იყო მორთული, ამინდი კარგი იდგა. ჯარები თავთავიანთ საომარ ადგილებზედ იდგნენ და ისე ეგებებოდნენ ბედნიერ დღეს. ყველა აღფრთოვანებულია და ყოჩაღად არის.

ბლაგოვეშჩენსკი. ნამქერმა აღდგომა ღამეს დასწყვიტა ტელეგრაფის მავთულები ბლაგოვეშჩენსკსა და ხაბაროვსკს შუა. ღონისძიებაა მიღებული მავთულების გასაბმელად.

პეტროპავლოვსკი. პირველ რიგის მეომართა მოწვევა ციმბირის სამხედრო ოლქში, უმაღლესის ნება-დართვით, გადადებულ იქმნა 1 ივნისამდე, რათა ხალხმა ხვნა-თესვა მოათავოს მანამდე.

ნიუ-ჩუანი. (რეიტ სააგენტო). ამბავი მოდის, რომ მხნედ მოქმედებენ იაპონელნი კორეიაში და მოვიდა იაპონიის სატრანსპორტო გემები იალუს შესართავში. ამის გამო აქაური ჯარი ფრთხილად არის, რადგან ფიქრი აქვს იაპონელთა თავ-დასხმისა.—23 მარტს, საღამოს, როცა ლიაოხეს შესართავიდან გასულ გემებს სინათლით ანიშნებდნენ, სად რა სიღრმისაა წყალიო, ფორტებიდან, რომელნიც ვერ მიჰხვდნენ, თუ რა აზრი ჰქონდა ნიშნებს, 24-ჯერ ესროლეს ზარბაზნები ლოცმანების ნავებს და მიმავალ სავაჭრო გემს. სროლამ შეაფიქრიანა ქალაქის მკვიდრნი და ჯარი, რომელთაც ეგონათ, იაპონელნი ხომ არ დაგვესხნენ თავსაო, ორი მეზღვაური ჩინელიც, რომელთაც წყალში გასვლა უნდოდათ, მოკლულ იქმნა დარაჯთაგან.

ბერლინი. როგორც ჩიფუდან იწერებიან, 1 აპრილს ნიუჩუანს მივა რუსეთის არტილერიის ჯარი—სულ 2000 კაცი, რომელთაც 60 ზარბაზანი აქვთ.

ნიუ-ჩუანი. («რეიტერის სააგენტო»). მთელს სამხრეთ მანჯურიაში, დიდის წვიმების გამო, რკინის გზა მთლად წალეკილია; გზებზე არ გაივლება, ტელეგრაფები გაფუჭებულია; მისვლა-მოსვლა დაბრკოლებულია.

ხარბინი. დალნიში დაკავებული მოსკოვს გასაგზავნად 25 ათასი ფუთი ჩაი მანჯურიას გაჰგზავნეს.—ხარბინში სიცივეები და წვიმებია. ხალხმა, «ხარბინის მოამბის» რედაქციამ და ადგილობრივმა კომიტეტმა ჯარის-კაცებს ხორცით პირი აუხსნეს სადგურზე. დარბაზი მორთული იყო დროშებით და ზედ ეწერა «ქრისტე აღსდგა».—სამხრეთისაკენ გასწევს მოწინავე რაზმებმა, გაიგზავნა რამდენიმე ვაგონი სურსათით და სააღდგომო საჩუქრებით ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის მიერ.—კუზნეცკის ფირმამ 12 ათასი ფუთი დაქაჯული ჩაი შესწირა ჯარებისათვის.

ბარცელონა. მინისტრ-პრეზიდენტი მაურა, როდესაც უმთავრეს საბჭოს სადგომიდან გამოდიოდა, ხანჯლით დას ჰრეს.

კიევი. დილის 9 საათზე შორეულ აღმოსავლეთს წავიდა სასანიტარო მატარებელი კიევის წითელის ჯვრისა. რაზმშია ექვსი ექიმი, 15 დანი სათნოებისანი და ოცდაათი სანიტარი; დიდ-ძალმა ხალხმა გააცილა.

ბერლინი. როგორც ტოკიოდან იუწყებიან, 29 მარტს საფრანგეთის ელჩს უნახავს საავადმყოფოში რუსთა დაჭრილი მეზღვაურნი და საჩუქრები გადაუცია.—იაპონელებს აღელვება ეტყობათ, რაკი ბრძოლის ველიდან არაფერი ამბავი მოსდით.

სიმლა. («რეიტერის სააგენტო»). ინდოეთის ჯარების მთავარ-სარდალმა კიტჩენერმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც იმისი აზრია გამოთქმული ინდოეთის ჯარის საომრად მომზადების შესახებ. ის აფრთხილებს ჯარსა, ნუ გეგონებათ, მტერი თქვენზე უძლური იყოს. უნდა მივსდიოთ შემუშავებულს წეს-რიგსა, რათა გავაუმჯობესოთ უმთავრესი შტაბის მდგომარეობაო, და განაცხადა, უნდა ინდოეთში ძალიან ჩქარა დაარსდეს სპეციალური დაწესებულება, რომ ინდოეთის ჯარისათვის ზრდიდეს უმთავრესის შტაბის აფიცრებსაო.

პარიჟი. ნელიდოვმა უთხრა «ტაიმსის» რედაქტორს, რომ საფრანგეთ-ინგლისის ხელშეკრულობა პეტერბურგში კმაყოფილებას გამოიწვევსო. რუსეთს ყოველივე სიკეთე საფრანგეთისა ახარებსო. როგორც იმისი მოკავშირე, რუსეთი სიამოვნებით აღნიშნავს იმ ახალს ძალას, რომელიც საფრანგეთმა ხელშეკრულობის ძალით მოიპოვაო. ეს ხელშეკრულობა გაანთავისუფლებს ბევრის ზრუნვისა და მითქმა-მოთქმისაგან და იქნება გამართლდეს თქმულება—„მეგობარნი ჩვენთა მეგობართა - ჩვენნი მეგობარნი არიან».—ასეთია ის გრძნობანი, რომლითაც პეტერბურგში განსმჭვალულნი არიან.

ირკუტსკი. აქ მოვიდა ბურბონის პრინცი ხაიმე.

ლიავალეტტა. გერმანიის იმპერატორი დილით ნაპირს გადავიდა, ნახა სამხედრო არტილერიის სწავლა-მეცადინეობა და მეზღვაურთა ვარჯიშობა, გასინჯა ახალი დოკები და ისაუბრა ადმირალ დომვილთან.

სოფია. (საოპოზიციო ცნობებით). ოპოზიციის მომხრეებს არა სჯერათ ოსმალეთ-ბულგარიის ხელშეკრულობა. ჰგონებენ, რომ ეს ხელშეკრულობა აუსრულებლად დარჩებაო.

31 მარტი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელზე, 30 მარტის თარიღით: «გენერალ კაშტალინსკიმ 26 მარტს ღამით გაგზავნა იალუს მარცხენა ნაპირისაკენ, ი-ჩჟუს პირდაპირ, მზვერავი რაზმი. რაზმი პორუჩიკ დემიდოვიჩისა და პოდპორუჩიკის პოტემკინის მეთაურობით გადავიდნენ კუნძულ სომალინდზე და ხელში ჩაიგდეს იაპონიის 50 კაცისაგან შემდგარი მზვერავი რაზმი, რომელიც ამ დროს მდინარის მარჯვენა კიდეს მოადგა სამის ნავითა. დააცადეს გამოსვლა ნაპირსა და უცებ დაესხნენ «ურას» ძახილით და თითქმის ყველა იაპონელნი დასჩეხეს, დახოცეს და ზოგიც წყალში დაიღრჩო, ნავები კი ააფეთქეს. ჩვენ არავინ დაგვკლებია. ყველაზე ძლიერ იჩინეს თავი უნტერ-ოფიცერმა ლუჩკინმა და ბუმაშედოვმა. მეორე დღეს ი-ჩჟუში იაპონელთა ბაირაღი ჩამოუშვეს და უკან დაიწიეს. 27 მარტს ოთხი ჯარის-კაცი გადავიდა იონამპოს, რუსის სოფელში, სადაც აღმოაჩინეს ესკადრონი. ეს მზვერავნი ღამე 12 საათზე მოვიდნენ, ისინი გასცეს კორეველებმა და იძულებულნი გახდნენ ცურვით გასულიყვნენ, რადგანაც იმათი ნავი გაირიყა. ამ დროს დაიღუპა ეფრეიტორი რომან ხარკოვი. ნავით გამოვიდნენ იაპონელნი, იმათი ნავი დაეტაკა ჩვენს ნავს, რომელიც საშველად მიდიოდა, იაპონელნი მთლად ამოსწყვიტეს და ნავი ჩასძირეს. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

სეული. იაპონიის მთავრობა ამტკიცებს, რომ ჩონჯუსა და იჯუს შორის ხშირია ბრძოლაო. იაპონიის პირველ ლაშქრის უმთავრესი ძალა იჯუს ახლოა.

ტოკიო. («რეიტ. სააგენტ.»). აქ უარჰყოფენ იმ ბრალდებას, რომელიც რუსეთის წყალობით გავრცელდა, ვითომ იაპონიის ჯარებმა ჩონჯუში ბოროტად მოიხმარეს უფლება წითელის ჯვრის დროშის გამოკიდვისა.

ბერლინი. (სპეციალ.) პეკინიდან იუწყებიან, იაპონიის ფლოტის უმოქმედობა უნდა აიხსნას მით, რომ ეს რამდენიმე დღეა დიდი ღელვაა ზღვაზედაო.

ბერლინი, რეიხსტაგი. იმპერიის კანცლერმა იმათ პასუხად, ვინც შეეკითხნენ, სთქვა, რომ ინგლის-საფრანგეთის მორიგება მუქარა არ არის არც ერთის დანარჩენის დიდის სახელმწიფოსათვისაო. «ჩვენთვის სასურველი არ უნდა იყოს გამწვავებული ურთი,ერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, იმიტომ, რომ ასეთი ურთიერთობა მუქარა იქნებოდა საზოგადო მშვიდობიანობისათვის. შემდეგ ბიულოვმა განაგრძო: აღმოსავლეთს აზიაში ჩვენ ყოველივე მოვიქმედეთ, რაც-კი ჩვენზედ იყო დამოკიდებული, რომ ომი მსოფლიო ბრძოლად არ გადაქცეულიყო. ეს არის საფუძველი ჩვენის ლოიალურისა და პატიოსანის ნეიტრალიტეტისა. იმ საყვედურის პასუხად, რომ უცებ დაგვატყდა თავს ომი, მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმაზედ, რომ ხელმძღვანელი მინისტრებიც ლონდონსა და პარიჟში მაგ ყოფაში იყვნენ. ჩვენ გვისაყვედურეს, რომ ჩინეთის ნეიტრალიტეტი საჭიროდ მიგვაჩნდა. ეგ ნეიტრალიტეტი მართლა საჭიროა დიდად. საჭიროა, რომ დიდი იმპერია ჩინეთისა ომში არ იქმნეს ჩათრეული. ჩვენ მიერ გამოთქმული აზრი, რომ ჩინეთმა საჭიროა ნეიტრალიტეტი დაიცვას, საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმ ცილის-წამების წინააღმდეგ, ვითომ ჩვენ გვინდოდა ომი ჩვენდა სასარგებლოდ გამოგვეყენებინა და დაგვეჩემებინა ჩინეთის მიწა-წყლის ნაწილი.

ლონდონი. («რეიტ. სააგენტო»). საზოგადოებათა პალატა. ბალფურმა აუწყა, რომ თიბეთში საქმეთა გართულების გამო საჭიროა, არსებულ კანონების თანხმად, ვითხოვოთ ნებართვა პალატისა, რომ ინდოეთის ჯარები ვამოქმედოთ ინდოეთის გარეშე. ამ საგნის შესახები წინადადება 31 მარტს იქმნება წარდგენილი.

ბარცელონა. უარ-ჰყოფენ, რომ ვითომ მინისტრის მოკვლა უნდოდათ. ნამდვილად ის იყო, რომ რიგიანად ჩაცმული ყმაწვილი კაცი მიჰვარდა მინისტრის თავ-დახურულ ეტლს მოღერებულის მუშტით და სცდილობდა დაერტყა მუშტი მინისტრისათვის. ყმაწვილი კაცი შეიპყრეს.

სოფია. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ჟანდარმერიის რეორგანიზაციის კომისიამ უკანასკნელს კრებაზედ გადასწყვიტა, განაწილებულ იქმნას სანჯაყები უცხოელ აფიცერთა შორის. რუსეთს სალონიკი ერგება, ავსტრიას—უსკიუბის ვილაიეტი, საფრანგეთის-სერესის სანჯაყი, იტალიას მონასტირისა და ინგლისს—დრამისა, ელიან ხონთქრის ირადეს ოსმალ-ბულგრთა მორიგების დასამტკიცებელს, აღდგომა ისე გავიდა მაკედონიაში, რომ ბერძენთა და ბულგართა შორის არავითარი ჩხუბი არ მომხდარა.

პეტერბურგის ბირჟა

30 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	45,95
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,30
პარიჟში . . „	37,70
ბირჟის დისკონტი.	$6—7^1/_2$
$4^0/_0$ სახელმწიფო რენტა . . .	$93^1/_2$ ნ. გაყ
$4^0/_0$ სახ. სესხი 1902 წ.	—
$4^0/_0$ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
$5^0/_0$ პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	384 წ. გაყ.
$5^0/_0$ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	310 წვრ. გაყ.
$5^0/_0$ გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	279 ნის. გაყ.
$5^0/_0$ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. :	—

4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . .	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. .	—

წერილი

რედაქციის მიმართ

(ს. ქვემო-ჭალიდან ბ. «მგზავრის» მიერ კორესპონდენციის გამო).

ბ-ნო რედაქტორო! დიდად დაგვავალებთ, უკეთუ „ივერიაში“ დაუთმობთ მცირედ ადგილს ქვემორე ჩვენ მოხსენებას:

ამ დღეებში გავიგეთ მხოლოდ, რომ 2 მარტს დაბეჭდილმა «ივერიაში» ბ. მგზავრის კორესპონდეციამ გამოიწვია ს. ქ.-ჭალაში დიდი მითქმა-მოთქმა, სხვა და სხვა არა სასიამოვნო ხმები, ჭორბიი. სხვათა შორის, ვიღაცას გაუვრცელებია ხმა და დაუჯერებია კიდევაც არა ერთი, ვითომც ნიღაბსა ქვეშე „მგზავრისა“ ვიფარები მე, მ. ს. ქარცივაძე, რომელმაც თურმე «ჩემის, ნ. ი. ალექსიევ-მესხიევის, სიტყვით, ჩაგონებით დასწერა ზემო ხსენებული კორრესპონდენცია‘‘. (!!!)

თქვენ, ბ. რედაქტორო, უკეთ მოგეხსენებათ ავტორი მისი, და უკეთუ ერთ-ერთი ჩვენთაგანი გახლავსთ იგი, აუცილებლივ გამოაცხადეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში გვიმოწმეთ *), რო ჩვენ უბრალონი გახლავართ ამ საქციელში. დარწმუნებულნი ბრძანდებოდნენ ამ ჭორის გამავრცელებელნი და მისნი ამყოლნი, რო, უკეთუ ჩვენი ყოფილიყო იგი, მოურიდებლივ, უშიშრად ვისიმე ჩვენ სახელს და გვარსაც მოვაწერდით მასზედ, და არ დავიმალებოდით ნიღაბსა ქვეშე...

დაარსებით ს. ქ.-ჭალაში წიგნთ-საცავ-სამკითხველოისა, ჩვენის აზრით, ოლგა ნიკოლოოზის ასულმა ალექსიევ-მესხიევისამა მოაშორა გულიდან ამ და ახლო-მახლო მის სოფლებში მცხოვრებთ ის საშინელი კაეშანი, რომელსაც გრძნობს ის, ვისთვისაც კი ჟურნალ-გაზეთ-წიგნთა კითხვა შეადგენს, ვითარცა არსობითი პური, ყოველ დღიურ საჭიროებასა და დააარსა მან ესე, როგორც ჩვენ, მისმა თანაგრძნობელებმა ზედ მიწევნით ვიცით, არა ვისიმე ჯიბრით, საწინააღმდეგოდ(ან რა არის აქ, თქვენი ჭირიმეთ,საჯიბრო და ვისიმე საწინააღმდეგო?)არამედ განსაკუთრებითი განზრახვით, სურვილით, აეცილებინა ამ და გარეშე სოფლებისათვის ის საგრძნობელი ნაკლი, რომლისა წყალობით სოფელი, მეტადრე ზამთარში, ძნელ გასაძლისია. იმედეულობდა, დაიმსახურებდა ადგილობრივ საზოგადოების თანაგრძნობას, შემწეობას და აკი იმედმაც არ უმტყუვნა: იმოდენა მსურველი წიგნთა კითხვისა (უფრო გლეხთაგანნი) აღმოჩნდა, იმოდენა ხალხი ეტანება ამ ახლად დაარსებულ სამკითხველოწიგნთ-საცავს, რო საჭიროდ შეიქმნა ერთი და იგივე ავტორის რამდენიმე ეგზემპლიარის გამოწერა! ჯერ დასაწყისში ესეა, მაშინ, როდესაც იგი ჯერ კიდევ, სურვილისა მებრ დამაარსებელისა, არ არის მოწყობილი; შემდეგ, როცა მოეწყობა და გამშვენიერდება, შეიმატებს მეტ ჟურნალ-გაზეთ-წიგნებს, ხო უფრო დიდი ძალი მსურველი წიგნთა კითხვისა მოაწვება ამ სამკითხველოსა. განა ეს მოვლენა სასიხარულო, საწამაქეზებელი მოვლენა არ-არის ყოველთათვის, ვისაც კი სურს ჩვენი საზოგადოებისათვის კეთილი, განვითარება?! განა ყოველი ჩვენთაგანი ხელს არ უნდა უწყობდეს, შველოდეს დამაარსებელს, რო მსურველთა წიგნთა კითხვის რიცხვმა იმატოს, და არა იკლოს?! განა ყოველმა ჩვენთაგანმა არ იცის, რომ ამ მიზნის მიხწევა შეიძლება არა დათესვით შფოთისა, უსიამოვნებისა, უთანხმოებისა, არამედ ჩამოგდებით სიმშვიდისა, არ ვის აბუჩათ აგდებითა, არ ვისიმე ლანძღვა-თრევითა?! განა ამ გვარი საქციელი არ იქმნებოდა წინააღმდეგი, დამარღვეველი, მავნე იმ სურვილისა, რომლითაც აღჭურვილია დამაარსებელი ამ წიგნთ-საცავ-სამკითხველოისა?! განა ჩვენ, მისი თანა მოზიარენი, დავიჭერდით იმისთანა საქმეს, რომელიც განხორციელებას მის განზრახვისა ცოტად თუ ბევრად, ხელს შეუშლიდა?! რამდენად ჩვენ გვესმის, მას აქეთ რაც-კი ქვეყანას, არსებობს, არ ვის დაუმსახურებია ვისიმე სიყვარული, პატივი, ნდობა ლანძღვა-თრევითა, განკიცხვით, და თუ ეს ასეა და ესეც ვიცით ჩვენ, ნუ თუ ჩვენვე დავარღვევდით ამ შეუცდომელ ჭეშმარიტებას?! ეჰ, მახლას! ვინც გვიცნობს და იცის დასაბამიდან ამ საქმის გარემოება, ვინც იცის, რო ეს წიგნთ-საცავი-სამკითხველო დარასდა მხოლოდ განსახორციელებლად არ ერთხელ გამოთქმულ საზოგადოების-მიერ სურვილისა, დაიჯერებს დღევანდელ ამ ჩვენ მოხსენებასა და ზიზღით ზურგს შეაქცევს მთესავთ და გამავრცელებელთ ამ გვარ ხმებისას და ვინც იცის ესე კარგად-და მაინც და მაინც თავისას არ იშლის, თავისას გაიძახის,—იმასთანლაპარაკი მეტია, ავი კაცი აღდგომასაც კი ავია; მისი გულის მოგება,—დაკარგული დრო და სიტყვა... ალბად ხაბი ყოფილა საჭირო: სცხოვრებდა ვინმე ოსი ხაბი, რაც კი მოხდებოდა სოფელში, ავი თუ კარგი, სულ ამ უბედურის შვილს ბრალდებოდა. ერთ ხელ მოიღრუბლა, ასტყდა ქუხილ ჭექა, ჩამოვარდა მეხი, დაეცა თივის ბულულს და, რასაკვირელია, მთლად დასწვა. ამის მნახველი ხაბი ავარდა ერდოზე და მორთო ღრიალი. რა ხალხი შეიყარა და ჰკითხა მას მისი ამგვარ საქციელისა; ამ სიტყვებით მიმართა: «ხალხო და ჯამაათო! ხო დაინახეთ, რო ღრუბელი წამოვიდა, ასტყდა ჭექა-ქუხილი, ჩამოვარდა მეხი, დაეცა ამ ბულულს და დასწვა»? ჰაი, ჰაი, რო დავინახეთ,—მიუგეს მას. «ხაბი ვინოვატა», მიუგო ხაშიბ და გასწია თავის ქოხისკენ. ყველგან ყბად აღებული ხაბი მოიპოვების. ჩვენც ქვემო-ჭალის ხაბი გახლავართ

ნიკოლოოზ იაკინთესძე ალექსიევ-მესხიევი,
მიხეილ სოლომონისძეე ქარცივაძე.

---

*) რედაქცია ამით ამოწმებს, რომ არც ერთ ამათგანთა ფსევდონიმი არ არის ,,მგზავრი‘‘ და ის წერილი აქ მოხსენებულთ არ ეკუთვნის.

რედ.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს ს. 72 8 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით)·

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2 ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული
ქართული
რუკა
ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».
ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს“
საზაფხულო ბაღში
მიხეილის პროსპექტზე
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ
გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა და ცოცხალი სურათები. დასასრულ

ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—3)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანთკის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩ. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»
გულივერის მოგზაურობა
სვიფტისა, მრავალის სურათით. 16° გვ
ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადდებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ· Общество распрстр. грамотности.



როიალები პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНЦАНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—21)


Парфюмерія
„Шампака“
Духи, мыло и цвѣточный одеколонъ
Т-ва А. Ралле и Ко

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათაცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

ძირითადი თანხა	1.650.00 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.08 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთაის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის [illegible] სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—28)

სწორედ მუქთი,

იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან
მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნი.

ვუგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადი, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბედავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან ვ.; 5) ტყავის ქისა ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ქრომის ბეჭედი** 56 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კილო სინიდისიერად. ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნება.

3—6—2)

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვიგამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზის სახლი),

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი**, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (**ფერადებით**) **საუცხოოდ დახატული**.
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე**.

Дозволено цензурою Тифлисъ 31 мартъ 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.